



ბაღ & თაგარტი

გეგნით შესაძლებლობებს



საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

16 აპრილი 2021

საქართველომ წარმატებით განათავსა \$500 მილიონის ევროობლიგაცია, ისტრიულად ყველაზე დაბალ 2.750%-ში

ტრანზაქციის დეტალები

გამომშვები	საქართველო
საკრედიტო რეიტინგი	BB (Fitch) / Ba2 (Moody's)/BB (S&P)
სტატუსი	Senior unsecured
ფორმატი	RegS/144A
მოცულობა	\$500 მლნ
გამომშვების თარიღი	22 აპრილი 2021
დაფარვის თარიღი	22 აპრილი 2026
კუპონი	2.750%
შემოსავლიანობა	2.875%
გამომშვების ფასი	99.422%
მოზიდული სახსრების გამოყენება	ზოგადი საბიუჯეტო მიზნებისთვის
განთავსება/სასამართლო	ლონდონის საფონდო ბირჟა/ ინგლისური

2021 წლის 15 აპრილს საქართველომ წარმატებით განათავსა \$500 მილიონის 5-წლიანი ევროობლიგაცია, რომლის კუპონის განაკვეთი განისაზღვრა 2.750%-ით.

ევროობლიგაციის მიმართ ინვესტორების დაინტერესება მაღალი იყო და მოთხოვნამ \$2.0 მლრდ-ს გადააჭარბა.

ტრანზაქცია ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, კერძოდ:

- ევროობლიგაციას საქართველოს ისტორიაში ყველაზე დაბალი კუპონი და შემოსავლიანობის მაჩვენებელი აქვს
- არსებული კუპონი და შემოსავლიანობა ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რეგიონის ქვეყნებს შორის.

საქართველოს ევროობლიგაციის გამოშვების პროცესში მონაწილეობდა სამი ავტორიტეტული საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი: JP Morgan, Goldman Sachs და ICBC; პროცესში ასევე ჩართული იყო 2 ადგილობრივი საინვესტიციო ბანკი - Galt & Taggart და TBC Capital.

წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი

1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები




2021 წლის მარტის ბოლოდან საქართველოში კოვიდის შემთხვევები მზარდია და მესამე ტალღის ნიშნები სახეზეა

COVID-19-ის სტატისტიკა საქართველოში



წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, 15.04.2021 მდგომარეობით

COVID-19-ის აქტიური შემთხვევები 100,000 მოსახლეზე



წყარო: Johns Hopkins University, Worldometers, 15.04.2021 მდგომარეობით

ვაქცინაცია 150-ზე მეტ ქვეყანაში მიმდინარეობს, თუმცა ვაქცინაციის ტემპი დაბალია და აკრილია მსოფლიო მოსახლეობის 5.6%, 16 აპრილის მდგომარეობით

COVID ვაქცინაციის სტატისტიკა მსოფლიოში

ქვეყნები	აკრილი მოსახლეობა, %
სეიშელი	69.0%
ისრაელი	59.0%
ბრიტანეთი	48.6%
ჩილე	39.8%
აშშ	37.9%
მალტა	36.7%
უნგრეთი	31.6%
ესტონეთი	20.3%
ლიეტუვა	19.0%
პოლონეთი	15.9%
მეზობელი ქვეყნები	
თურქეთი	14.4%
აზერბაიჯანი	8.4%
რუსეთი	4.7%
საქართველო	0.7%

წყარო: Bloomberg, 16.04.2021 მდგომარეობით

ვაქცინაციის პროცესი საქართველოში


- საქართველოში ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია 3 სახის ვაქცინა:
 - 43,200 დოზა ასტრაზენეკა
 - 29,250 დოზა ფაიზერი
 - 100,000 სინოფარმი
- 16 აპრილის მდგომარეობით საქართველოში აკრილია 24,917 ადამიანი (0.7%). აპრილის მონაცემით დღეში საშუალოდ იცრება 1,318 ადამიანი. ვაქცინაციის ტემპის დაჩქარება მოსალოდნელია წლის მეორე ნახევრიდან
- საჯარო განცხადებების მიხედვით, საქართველო ელოდება მილიონ დოზა ვაქცინას ფაიზერისგან (თარიღი ცნობილი არაა). აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს ნოვაქსთან, ჯონსონ ენდ ჯონსონსა და სხვა კომპანიებთანაც.

წყარო: NCDC




2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.2%-ით შემცირდა; ამასთან, ზრდას ჰქონდა ადგილი ეკონომიკის რამდენიმე დარგში

ეკონომიკური ზრდა და ნომინალური მშპ



წყარო: საქსტატი

ეკონომიკის ძირითადი დარგების რეალური ზრდა, წ/წ




წყარო: საქსტატი



შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ ეკონომიკური კლების ტემპი მნიშვნელოვნად შენედა 2021 წლის თებერვალში

ეკონომიკური ზრდა თვეების მიხედვით




წყარო: სასტატო

ფულადი გზავნილები სწრაფი ტემპით იზრდება, ექსპორტი მნიშვნელოვნად დაჩქარდა, ხოლო ტურიზმიდან შემოსავლები კვლავ მინიმალურია

ამასთან, მარტში იმპორტის ზრდა მიუთითებს ადგილობრივი მოთხოვნის გამოცოცხლებაზე.

დასაქმებულთა კლების მიუხედავად გადახდილი ხელფასები გაიზარდა 2021 წლის იანვარ-თებერვალში


დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა და ხელფასები



წყარო: შემოსავლების სამსახური

2021 წლის პირველ კვარტალში საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია, ფისკალური დეფიციტი მაღალ ნიშნულზეა დაგეგმილი


ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, მლნ ლარი



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

- 2021 წლის I კვარტალში საგადასახადო შემოსავლებმა 3.0 მლრდ ლარი შეადგინა და კვარტალური გეგმა შესრულდა (100.3%)
- 2021 წლის I კვარტალში მთავრობამ 467 მლნ ლარის ზედმეტად გადახდილი დღგ დააბრუნა.

ფისკალური დეფიციტი, %-ად მშპ-თან




წყარო: ფინანსთა სამინისტრო

- 2020 წელს მთავრობის ანტიკრიზისულმა ხარჯებმა 2 მლრდ ლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 4%-ია
- 2021 წელს ანტიკრიზისული ხარჯები 1.1 მლრდ ლარზეა დაგეგმილი (მშპ-ს 2%)
- 2021 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება 5.2%-ით იზრდება 4.3 მლრდ ლარამდე.
- პოსტ-პანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვანია ფისკალური პარამეტრების გაუმჯობესება და ამ მიზნით საჭიროა მიმდინარე ხარჯების მკვეთრი შემცირება.



ვაქცინაციის ნელი პროცესი და ტურიზმის დაყოვნებული აღდგენა ეკონომიკური ზრდის მოლოდინებს აუარესებს 2021 წელს

საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

2021 წლის დასაწყისში ტურიზმის აღდგენასთან დაკავშირებით პოზიტიური მოლოდინები გვექონდა, თუმცა ვაქცინაციის ნელი პროცესი ტურიზმის აღდგენას დაყოვნებს


შესაბამისად, 2021 წელს ჩვენ ვპროგნოზირებთ 3.6%-იან ეკონომიკურ ზრდას (რაც იყო ჩვენი პესიმისტური სცენარი, ხოლო ტურიზმის ნაწილობრივი აღდგენის შემთხვევაში ჩვენი პროგნოზი 5.0% იყო)

ამასთან, ხელახალი შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში ზრდა ნაკლები იქნება (ჩვენი შეფასებით, წინა შეზღუდვების შედეგად ეკონომიკა დღეში 16 მლნ ლარს კარგავდა).



საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.3%-დან 3.5%-მდე შეამცირა

2021 წლის ეკონომიკის ზრდის პროგნოზი, სავალუტო ფონდი



- 2021 წლის აპრილში სავალუტო ფონდმა განახლებული ეკონომიკური პროგნოზები გამოაქვეყნა
- 2020 წლის 3.3%-იანი კლების შემდეგ სავალუტო ფონდი მოელის, რომ მსოფლიო ეკონომიკა 6.0%-ით გაიზრდება 2021 წელს
- აღსანიშნავია, რომ სავალუტო ფონდმა საქართველოს 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.3%-დან 3.5%-მდე შეამცირა.

წყარო: IMF's WEO, აპრილი 2021

1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები



საგარეო ბალანსი 69.8 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა 2021 წლის პირველ კვარტალში

საგარეო ნაკადების ძირითადი კატეგორიები მლნ აშშ\$



2021 წლის იანვარ-მარტში:

- +5.3% წწ** ექსპორტი
- 2.4% წწ** იმპორტი
- 7.3% წწ** სავაჭრო დეფიციტი
- 88.1% წწ** წმინდა ტურისტული შემოსავლები
- +32.9% წწ** წმინდა ფულადი გზავნილები

-\$69.8 მლნ წ/წ

საგარეო ბალანსი

წყარო: სებ, საქსტატი, გალტ & თაგარტი

წყარო: სებ, საქსტატი, გალტ & თაგარტი

2021 წლის თებერვალში ექსპორტი გაიზარდა, ხოლო იმპორტში კვლავ ორნიშნა კლება იყო. შედეგად, 2021 წლის იანვარ-თებერვალში სავაჭრო ბალანსი 154 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა

საქონლის ექსპორტი

	იანვარ-თებერვალი, 2020	იანვარ-თებერვალი, 2021	%-ლი ცვლილება
მთლიანი ექსპორტი	531	495	-6.8%
სპილენძი	90	95	5.1%
ფეროშენადნობები	42	52	23.0%
ავტომობილები	105	50	-52.5%
ღვინო	28	26	-8.3%
სასუქები	20	19	-8.5%
მინერალური წყალი	16	18	17.0%
სპირტიანი სასმელები	15	18	18.8%
თხილი	7	16	125.4%
მედიკამენტები	9	9	1.5%
ოქრო	15	9	-42.3%
სხვა	182	182	0.4%

წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი


	იანვარ-თებერვალი, 2020	იანვარ-თებერვალი, 2021	%-ლი ცვლილება
მთლიანი იმპორტი	1,349	1,159	-14.1%
ავტომობილები	137	98	-28.2%
გაზი	104	90	-13.8%
ნავთობი	106	83	-21.0%
სპილენძი	75	59	-21.3%
გადასაადგილებელი, საბურღი მანქანები	1	41	29.8x
მედიკამენტები	42	39	-6.7%
სატვირთო ავტომობილები	16	29	86.0%
ტელეფონები	34	25	-26.4%
ელ. ექტროენერჯია	21	18	-15.6%
ხორბალი	10	16	55.9%
სხვა	803	661	-17.7%

წყარო: საქსტატი




2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაორმაგდა 2019 წელთან შედარებით მომსახურების ბალანსის გაუარესების გამო

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი კომპონენტები, %-ად მშპ-თან



წყარო: სებ, საქსტატი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, %-ად მშპ-თან



წყარო: სებ, საქსტატი

1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები



ლარის გაუფასურება 2021 წელსაც გაგრძელდა

ლარი და რეგიონის ვალუტები აშშ დოლარის მიმართ, პერიოდი 1 იანვარი - 15 აპრილი, 2021



2021 წლის დასაწყისიდან დღემდე სებ-მა 212.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა სავალუტო ბაზარზე


ლარის მიმდინარე რყევებზე ძირითად გავლენას ახდენს კოვიდის მესამე ტალღის მოლოდინი, პოლიტიკური არსტაბილურობა და თურქული ლირის გაუფასურებიდან წარმოქმნილი ნეგატიური მოლოდინები

2021 წელს ლარის კურსი დოლარის მიმართ საშუალოდ 3.4-3.5-ის ფარგლებშია მოსალოდნელი (ტურიზმის აღდგენის შემთხვევაში 3.25-3.4).

წყარო: ცენტრალური ბანკები
შენიშვნა: მინუსი/პლუსი ნიშნავს გაუფასურებას/გამყარებას

2021 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 6.9%-ის დონეზეა მოსალოდნელი; მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გამკაცრება


წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი

- 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით წლიური ინფლაცია მიზნობრივ 3%-თან ახლოს იყო, რაც მთავრობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებით იხსნება.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

- სეზ-მა 2021 წლის მარტში რეფინანსირების განაკვეთი 0.5%-ლი პუნქტით 8.5%-მდე გაზარდა.


სებ-ის საერთაშორისო რეზერვები მაღალ დონეზეა

საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ დოლარი



წყარო: სებ

სებ-ის ინტერვენციები, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ



1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია


4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები




საბანკო სესხების პორტფელის წლიური ზრდა 8.3%-მდე შენედა 2021 წლის თებერვალში

საბანკო სესხების პორტფელის ზრდა



წყარო: სეზ


საცალო და ბიზნეს სესხები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სეზ

ლარის გაუფასურების ფონზე მოსალოდნელია დოლარიზაციის მატვების ზრდა

სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია



წყარო: სებ

1 ეკონომიკური ტენდენციები საქართველოში

2 საგარეო სექტორი

3 ლარის გაცვლითი კურსი და ინფლაცია

4 საბანკო სექტორი

5 ძირითადი დასკვნები



შეჯამება

მშპ

- ვაქცინაციის ნელი ტემპებიდან და ტურიზმის დაყოვნებიდან გამომდინარე, ჩვენი პროგნოზით საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს 3.6%-ით გაიზრდება.

ინფლაცია

- ჩვენი პროგნოზით, 2021 წლის დეკემბერში წლიური ინფლაცია 8.6%-ის, ხოლო საშუალო წლიური ინფლაცია 6.9%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი 2021 წელს.

ლარი/\$

- 2021 წელს ლარის კურსი დოლარის მიმართ საშუალოდ 3.4-3.5-ის ფარგლებშია მოსალოდნელი (ტურიზმის აღდგენის შემთხვევაში 3.25-3.4).

რეფინანსირების განაკვეთი

- მოსალოდნელზე მაღალი ინფლაციიდან გამომდინარე მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გამკაცრება.

საბანკო სესხები

- 2021 წელს საბანკო სესხების ზრდა 5-7%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით).

რისკები

- პანდემია და ვაქცინაციის ნელი პროცესი
- ტურიზმის აღდგენის ნელი ტემპები
- გეოპოლიტიკური რისკები და პოლიტიკური არასტაბილურობა



გალთ & თაგარში

მედიის მენეჯერებისთვის

მადლობა ყურადღებისთვის

მეტი ინფორმაციისთვის ესტუმრეთ ვებ-გვერდს www.gt.ge

კითხვა-პასუხი



www.gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უფროსი
ლაშა ქავთარაძე | lashakvataradze@gt.ge

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

